Robert Bosch Stiftung

»საზღვრებს მიღმა შერიგებას შეძლებს არა კედლებით გამიჯნული ევროპა, არამედ კონტინენტი, რომელიც თავის საზღვრებს დაყოფის შესაძლებლობას ართმევს“
რიხარდ ფონ ვაიცზეკერი, 1985

Robert Bosch Stiftung GmbH
Heidehofstraße 31
70184 Stuttgart

16.12.2011

კონკურსის გამოცხადება
კარლ–ფრიდრიხ გორდელერის კოლეჯი ეფექტური მმართველობისათვის

საჯარო ან საზოგადოებრივ სექტორში მოღვაწე 20 ახალგაზრდა წამყვანი კადრისათვის აზერბაიჯანიდან, ბელარუსიდან, თურქეთიდან, მოლდოვადან, რუსეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და უკრაინიდან

2012 წლის 8–დან 29 სექტემბრამდე ბერლინსა და ვარშავაში

:: მუშაობთ საჯარო სექტორში და აქტიურად ხართ ჩართული საერთაშორისო ურთიერთობებში?
:: გსურთ განათლების გაღრმავება და ანგაჟირებულ ევროპელებთან კავშირების დამყარება?
:: გსურთ ახალი იდეების და ინოვაციური კონცეფციების შემუშავება და განხორციელება?

გორდელერ კოლეჯი ეფექტური მმართველობისათვის გიწვევთ:

– აიმაღლოთ კვალიფიკაცია სემინარებში მონაწილეობით,
– აქტიურად ჩაერთოთ დისკუსიებსა და პროექტებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფებში,
– დაამყაროთ კონტაქტები გერმანიასა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და
– წვლილი შეიტანოთ ეფექტური მმართველობისა და საჯარო მმართველობის სფეროში რეფორმების განხორციელებაში.

კოლეჯი საქმიანობას ახორციელებს გერმანიის საგარეო პოლიტიკის საზოგადოებასთან თანამშომლობით (DGAP).
პროფესორი გიუნტერ ფერჰოიგენი, ევროკომისიის ყოფილი ვიცე–პრეზიდენტი კოლეჯის მონაწილეებთან მუშაობაში ჩართული იქნება, როგორც კოლეჯის დირექტორი.

კოლეჯის ძირითადი მიმართულებები:

1. პასუხისმგებლობით საქმიანობა: მონაწილეები გაეცნობიან ადმინისტრაციულ რეფორმებსა და მოდერნიზებას, ასევე ეფექტური მმართველობის კონცეფციას: როგორ არის ჩამოყალიბებული საჯარო მმართველობა ევროკავშირში? კომუნიკაციის რა გზები და პლატფორმები გამოიყენება? როგორ შეიძლება ადმინისტრაციული მმართველობის ახლებურად და ეფექტურად მოწყობა ელექტრონული მმართველობის (eGovernance) მეშვეობით? როგორია პოლიტიკასთან თანამშრომლობა?

ეს ბლოკი ჩატარდება ერთ–ერთ გერმანულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და დასასრულ გაიცემა ცალკე სერტიფიკატი.

2. ხედი კულისებს მიღმა: მონაწილეებს ექნებათ შეხვედრები საზოგადოების, პოლიტიკის და მმართველობის ექსპერტებთან, გაიფართოებენ ხედვას გერმანიისა და ევროკავშირის პოლიტიკური ცხოვრებისა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და დაამყარებენ მნიშვნელოვან კავშირებს, შექმნიან შესაბამის ქსელს. კოლეჯი მიმართულია ურთიერთსწავლებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისაკენ.

მონაწილეებს DGAP-ს მხრიდან ეყოლებათ გამოცდილი მენტორი, რომელიც გაუზიარებს მათ თავის გამოცდილებას და გერმანიაში არსებულ სხვა სოციალურ ქსელებზეც მიაწვდის ინფორმაციას.

3. სამუშაო განგრძობადი ეფექტურობით: კოლეჯი საშუალებას აძლევს მონაწილეებს თავიანთი საქმიანობის სფეროში ეფექტური მმართველობის თემასთან დაკავშირებით შეიმუშავონ და განახორციელონ საკუთარი პროექტი, რომელიც სასარგებლო იქნება მათი მშობლიური ინსტიტუციებისთვის.

კონკურსის ჩატარებისას წარდგენილი იქნება პროექტის ესკიზი. პროგრამის მიმდინარეობისას კი მონაწილეები დააკონკრეტებენ პროექტს, პროექტის მენეჯმენტის სამუშაო ჯგუფში, სადაც მათ მეთვალყურეობას გაუწევს პროექტის ტრენერი. მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ ცელკეულ დღეებში ბერლინსა და მის შემოგარენში უშუალოდ გაეცნონ იმ დაწესებულებების საქმიანობას, რომელიც მათ სამუშაო საქმიანობას მიესადაგება. შემდგომში მონაწილეები დამოუკიდებლად განახორციელებენ პროექტს თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში.

ნახევარი წლის შემდეგ კოლეჯის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცემათ მოახდინონ რეგიონალური შეხვედრის ორგანიზება და გაუზიარებენ

ერთმანეთს პროექტების განხორციელების შუალედურ შედეგებს. 2013 წელს შემდეგი კოლეჯის დაწყებისას მონაწილეები კვლავ შეიკრიბებიან ბერლინში და წარადგენენ თავიანთი პროექტების შედეგებს.

სემინარები ჩატარდება გერმანულ ენაზე.
საჭიროების შემთხვევაში მონაწილეებს მიეცემათ გერმანული ენის გახსენების საშუალება გერმანიაში 2012 წლის 27 აგვისტოდან 8 სექტემბრადე შესაბამის კურსში მონაწილეობით.

კონკურსში მონაწილეობა:

გთხოვთ, კონკურსში მონაწილეობა მიიღოთ მხოლოდ ჩვენი ონლაინ–პორტალის საშუალებით:
https://bewerbung.boschstiftung-portal.de/onlinebewerbung/

მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენის საბოლოო ვადაა 2012 წლის 12 მარტი.

კონკურსში მონაწილეობა შეგიძლიათ, თუ:

- ხართ აზერბაიჯანის, ბელარუსის, თურქეთის, მოლდოვას, რუსეთის, საქართველოს, სომხეთის ან უკრაინის მოქალაქე,
- თქვენი საცხოვრებელი ადგილი ამ ზემოთ მითითებულ რეგიონშია,
- წარჩინებით დაასრულეთ უმაღლესი სასწავლებელი,
- გაქვთ სამუშაო გამოცდილება საჯარო სექტორში (საჯარო სამსახური, სახელმწიფო კომპანიები, არაკომერციული ორგანიზაციები და ა.შ.) და თქვენი დამსაქმებლის ხელშეწყობა,
- გაგაჩნიათ კონკრეტული პროექტის იდეა და გაინტერესებთ ეფექტური მმართველობის თემა და პოლიტიკური აზროვნების საკითხი,
- გაგაჩნიათ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, ხართ საზოგადოებრივად მოტივირებული და გაქვთ ლიდერის თვისებები,
- ფლობთ გერმანულ ენას ძალიან კარგად, ასევე ფლობთ ინგლისურ ენას.

ხარჯების ანაზღაურება:

რობერტ ბოშის ფონდი გასწევს შემდეგ ხარჯებს:

საკონკურსო გასაუბრებისას:
- საცხოვრებელი ადგილიდან ბერლინში გასაუბრებისთვის მგზავრობის ხარჯებს ორივე მიმართულებით
- გასაუბრების პერიოდში განთავსებისა და კვების ხარჯებს
- სავიზო მოსაკრებელს
- ჯანმრთელობის დაზღვევა

ენის კურსთან დაკავშირებით:
- საცხოვრებელი ადგილიდან ენის კურსისთვის ჩამოსვლის, ენის კურსიდან ბერლინში გამგზავრებისა და სამშობლოში დაბრუნების ხარჯებს
- გერმანული ენის კურსის ხარჯებს (4 საათი დღეში. ენის კურსზე მონაწილეობის ადგილების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რობერტ ბოშის ფონდი)
- განთავსება და ნაწილობრივ კვება (ვახშმის გარეშე)
- დამატებითი ხარჯებისათვის 300 ევრო კვების, ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯების (ÖPNV) და გოეთეს ინსტიტუტის დამატებითი ფასიანი შემოთავაზებებისთვის
- სავიზო ხარჯი
- ჯანმრთელობის დაზღვევა

კოლეჯში:
- სამშობლოდან ბერლინში და უკან მგზავრობა (გამონაკლისია ენის კურსზე მონაწილეობის შემთხვევა)
- განთავსება ნაწილობრივი კვებით (ვახშმის გარეშე) და კვების ხარჯებისთვის დამატებით 400 ევრო
- ვარშავაში მგზავრობის ხარჯები
- სავიზო ხარჯები
- ჯანმრთელობის დაზღვევა
- ადგილობრივი გადაადგილება საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ÖPNV) ბერლინში და ვარშავაში
- სემინარები

ინფორმაცია პროგრამისა და ორგანიზატორების შესახებ:

კარლ ფრიდრიხ გორდელერი (Carl Friedrich Goerdeler)
კოლეჯს სახელი ეწოდა ადმინისტრაციული სამართლის იურისტისა და წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლის – კარლ ფრიდრიხ გორდელერის (1884–1945) მიხედვით. გორდელერი 1930 წლიდან 1936 წლამდე ლაიფციგის ობერბურგომისტრი იმ რამდენიმე დიდი ქალაქის მმართველთაგანი იყო, რომლებიც არ იყვნენ გერმანიის ნაციონალ–სოციალისტური პარტიის წევრობა. ლაიფციგში ნაციონალ–სოციალისტური პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად გადადგომის შემდეგ იგი რობერტ ბოშის ფირმაში მოღვაწეობით უწევდა წინააღმდეგობას ნაციონალ–სოციალისტების რეჟიმს. გორდელერმა, რომელიც იყო სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის დამაარსებელი, თავის მემუარებში ჩამოაყალიბა ახალი კონსტიტუციურ–პოლიტიკური წესწყობილება და ევროპული სახელმწიფოების გაერთიანების გეგმები. იგი სიკვდილით იქნა დასჯილი 1945 წლის 2 თებერვალს 1944 წლის 20 ივლისის წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ.

რობერტ ბოშის ფონდი
წარმოადგენს ერთ–ერთ უმსხვილეს საწარმოსთან დაკავშირებულ ფონდს გერმანიაში. იგი დაარსდა 1964 წელს და აგრძელებს საქმიანობას ფირმის დამფუძნებლის – რობერტ ბოშის (1861–1942) საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნების მისაღწევად. ფონდი უპირატესად ახორციელებს ხალხთა ურთიერთგაგების, განათლებისა და ჯანმრთელობის თემებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი

რობერტ ბოშის ფონდის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი საგარეო პოლიტიკის გერმანული საზოგადოების (DGAP) ფარგლებში აწყობს კონფერენციებს, ასევე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებულ აქტუალურ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით – დისკუსიებს ექსპერტებს შორის და არაოფიციალურ საუბრებს. იგი ატარებს რობერტ ბოშის სხვადასხვა პროგრამას ცენტრალური ევროპის, აღმოსავლეთ ევროპისა და გერმანიის მომავალი პასუხისმგებელი პირების და ახალგაზრდა მეცნიერების ხელშესაწყობად.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად პროგრამის მსვლელობისა და
კონკურსში მონაწილეობის შესახებ ეწვიეთ:
www.goerdeler-kolleg.de

საკონტაქტო ინფორმაცია:

პროგრამის ხელმძღვანელობა
მარკუს ლუქსი (Markus Lux)
შპს რობერტ ბოშის ფონდი
www.bosch-stiftung.de

საკონტაქტო ინფორმაცია მონაწილეობის მსურველთათვის
მარი–ლენა მაი (Marie-Lena May)
ტელეფონი +49 (0) 30/25 42 31-13
ტელეფაქსი +49 (0) 30/25 42 31-16
m.may@dgap.org
www.dgap.org
Deutsche Gesellschaft für Auswärtige Politik e. V. (DGAP)
Zentrum für Mittel- und Osteuropa der Robert Bosch Stiftung
Rauchstraße 17/18
10787 Berlin

შენიშვნა: სავალდებულოა ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია გერმანულ ენაზე საწყის გვერდზე.